

ჯორჯ სოროსის ფონდმა უნგრეთი დატოვა



ამერიკელი მილიარდერის, ჯორჯ სოროსის ფონდი უნგრეთს ტოვებს. როგორც ფონდ „ღია საზოგადოებაში“ განმარტეს, ოფისი დაიხურება, რადგან ქვეყანაში „რეპრესიული პოლიტიკური და საკანონმდებლო“ გარემოა.

„ოფისის დახურვის გადაწყვეტილება იმის გამო მივიღეთ, რომ უნგრეთის მთავრობა აპირებს, დამატებითი შეზღუდვები დაუწესოს არასამთავრობო ორგანიზაციებს საკანონმდებლო პაკეტით, რომელსაც მათ „შეაჩერე სოროსი“ უწოდეს.“ - [განაცხადა](#) ფონდში.

ოფისის თანამშრომლები ბერლინში გადავიდნენ.

უნგრეთის პრემიერმინისტრმა, ვიქტორ ორბანმა უნგრული წარმოშობის ამერიკელი ფინანსისტის და ქვედმოქმედის, ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ გამჟანა „შეაჩერე სოროსი“ აპრილის დასაწყისში წამოიწყო. ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (CEU) ჯორჯ სოროსის ფონდმა პოსტსაბჭოთა ბუდაპეშტში 1991 წელს დააარსა. უნგრეთის პარლამენტმა 3 აპრილს, განათლების შესახებ კანონში ცვლილებები დაამტკიცა, რომლის თანახმად სოროსის უნივერსიტეტის დახურვა შესაძლებელი გახდა. გავრცელებული მოსაზრებით, ამ მიზნის მიღწევას ორბანის მმართველი პარტია უნგრეთში დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა.